

**პარაგლაიდინგის (პარაპლანით ფრენის) სწავლების
სილაბუსი**

სასწავლო კურსის სახელწოდება	პარაგლაიდინგის პილოტის მომზადების კურსი
სასწავლო კურსის ავტორი	ლაშა ჯაპავა ინსტრუქტორი, +995593516842; lashajapava@gmail.com
სასწავლო კურსის სტატუსი	სავალდებულოა პილოტის სტატუსის მოსაპოვებლად
სასწავლო კურსის მოცულობა	შესაბამისი ამინის მიხედვით 1 ადამიანს ჭირდება 10-12 სრული დღე
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია შეასწავლოს მომავალ პილოტს ფრენის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მხარე. ასწავლოს პარაგლაიდინგის სრული კომპლექტაციის აგებულება და მათი დანიშნულებები. ასევე, ფრენის სხვადასხვა სახეობები და ფრენის დროს მოსალოდნელი რისკებისგან თავის დაღწევის გზები.
სწავლების ფორმები	თავდაპირველად სტუდენტი სწავლობს ფრენისათვის საჭირო თეორიულ ნაწილს, შემდგომში კი პრაქტიკაში ახორციელებს მას
სწავლის შედეგები	
სტუდენტმა სრულყოფილად შეითვისა სილაბუსით გათვალისწინებული ყველა პუნქტი და ეძლევა შესაბამისი სერთიფიკატი	
ცოდნა და გაცნობიერება	
<i>სტუდენტმა იცის: პარაგლაიდინგის სრული ეკიპირების დანიშნულებისა და საჭიროების შესახებ, იცის თუ როგორია პარაპლანის გუმბათის კონსტრუქცია, სტროფების განლაგება და მათი დანიშნულება.</i>	
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	
<i>სტუდენტს შეუძლია: სრულად ფლობს „გრაუნდჰენდლიგის“ საბაზისო დონეს, შეუძლია როგორც კლასიკური ისე რევერსული სტარტი, შეუძლია სტარტი და წერტილზე დაჯდომა, ასევე თერმული ნაკადების დამუშავება. კურსდამთავრებულს შეუძლია სოლო ფრენების განხორციელება.</i>	

კურსდამთავრებულს ენიჭება **სოლო სერთიფიკატი** და დაგროვებული ნაფრენი საათების რაოდენობის აღრიცხვის წიგნაკი. გამოცდილ პილოტთან ერთად 1 წელიწადში 20 საათი ფრენის შემდეგ კურსდამთავრებულს უტარდება საგამოცდო ფრენა და წარმატებით დამთავრების შემდეგ ენიჭება სოლო პილოტის სერთიფიკატი

შეფასება:

სტუდენტს შეფასებას აძლევს მისი ინსტრუქტორი. შეფასება ხდება არა ქულების, არამედ ხდება ინსტრუქტორის მიერ წინასწარ შერჩეული კრიტერიუმების მიხედვით.

სასწავლო კურსის შინაარსი

დღე	დღიური პროგრამა
I დღე	პარაპლანის გუმბათის კონსტრუქციის და სტროფების განლაგების შესწავლა და პარაპლანის წამოწევა ჩაბმის გარეშე
II დღე	ჰარნესზე (სავარძელი) ჩაბმულად წინა სტარტით ფრთის წამოწევა, გაჩერება და მართვა
III დღე	ჰარნესზე ჩაბმული რევერსული (შემოტრიალებული) სტარტით ფრთის წამოწევა და მართვა
IV დღე	რაციის დახმარებით ინსტრუქტორთან ერთად მთის პატარა მონაკვეთზე დამოუკიდებელი ფრენების განხორციელება და უსაფრთხო დაჯდომაზე ვარჯიში
V დღე	კონკრეტულ წერტილზე დაჯდომაზე ინტენსიური ვარჯიში.
VI დღე	თეორიული კურსები ქარის აეროდინამიკაზე, ქედთან ახლოს დინამიურ ფრენებზე, თერმული ნაკადების დამუშავებაზე, რისკების გაანალიზებაზე, უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე.
VII დღე	დინამიურ ფრენებზე პრაქტიკული ვარჯიში.
VIII დღე	თერმული ნაკადების დამუშავებაზე პრაქტიკული ვარჯიში.
IX დღე	ფრენისას მოსალოდნელი რისკების პრაქტიკაში გააზრება და დამუშავება

X დღე	ინტენსიური ანალიზი პრაქტიკაში განხორციელებული გაკვეთილების.
XI დღე	შესაბამის საფრენ ლოკაციებზე ფრენა და კონკრეტული ლოკაციის ათვისება
XII დღე	სოლოში 100 საათის ფრენის ან მინიმუმ 200 სტარტის მერე ტანდემ პარაგლაიდინგით ფრენა ინსტრუქტორთან ერთად, ტანდემ ფრენებისთვის გადასამზადებლად.

შენიშვნა: სტუდენტმა უნდა გააცნობიეროს, რომ პარაგლაიდინგი არის ექსტრემალური სპორტის სახეობა და ფრენის უსაფრთხოება ინსტრუქტორის გამოცდილებასა და გამართულ აღჭურვილობაზე უფრო დამოკიდებულია ამინდზე და ბუნებრივ პირობებზე. გააცნობიეროს, რომ მან შეიძლება სწავლებისას დაიზიანოს, მოიტეხოს სხეული ან კიდევ მიყენებული ტრამვით გარდაიცვალოს. მსგავსი უბედური შემთხვევის დროს იგი საკუთარი ან ოჯახის სახსრებით ზრუნავს მის ჯანმრთელობის გამოსწორებაზე. გააცნობიეროს, რომ ეს არის ექსტრემალური სპორტი და საქართველოს არც ერთი სადაზღვეო კომპანია არ ანაზღაურებს პარაგლაიდინგით ფრენისას მიყენებულ ტრამვას. შესაბამისად, არც ინსტრუქტორი არ იღებს ვალდებულებას მსგავსი უბედური შემთხვევის დროს დაზარალებულ სტუდენტს გაუწიოს ფინანსური თანადგომა. მხარეები მხოლოდ ვალდებულნი არიან მსგავსი უბედური შემთხვევის დროს ერთმანეთს გაუწიონ პირველადი ფიზიკური და მორალური დახმარება.

შენიშვნა: სილაბუსში ნახსენები „დღე“ მოიცავს არა კალენდრულ დღეს, არამედ სწავლისა და ვარჯიშისთვის განკუთვნილ შეხვედრას.

შენიშვნა: სოლო პილოტის მომზადების მთლიანი კურსის ფასია 1000 ლარი, ხოლო უსაფრთხოების საწყისი კურსები და ტანდემ პილოტობისთვის გადამზადება დამატებით 500-500 ლარი, რომელიც სტუდენტმა ინსტრუქტორთან შეთხზემების უნდა გადაიხადოს და ჩარიცხოს მის კომერციული საქმიანობის ანგარიშზე თბს ბანკი : პ/ნ 62006000198 ან აგარიში GE04TB7465045061600003